სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № 205

ქ. თბილისი 20 აგვისტო 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი თავმჯდომარის გიორგი სამანიშვილის სახით და მეორე მხრივ, ააიპ ,,ქართული ღვინო" (ს/კ400004277) (შემდგომში – „მიმწოდებელი") წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის თინათინ კეზელის (პ/ნ01015001804) სახით, ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი), ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №77 განკარგულების თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე სხვა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამა: ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები) „ქვევრის ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმი"-ს ორგანიზების მომსახურების შესყიდვა ამ ხელშეკრულებისა და დანართი №1-ის შესაბამისად (კლასიფიკატორის CPV-79952000 კოდი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. დანართი №1 თან ახლავს ხელშეკრულებას და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: 2015 წლის 6 – 8 სექტემბერი.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: 99592.00 (ოთხმოცდაცხრამეტიათას ხუთასოთხმოცდათორმეტი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ/გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობით) გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.3 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე. ფასების ცვლილება საჭიროებს მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით დადასტურებას.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებითა და დანართი №1-ით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, მენეჯმენტი და მასთან დაკავშირებული მოსამზადებელი და მიმდინარე პროცესების კონტროლი (ზედამხედველობის განხორციელება);

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული და ჯეროვანი შესრულება მათ შორის:

1) მიმდინარე წლის 6 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საკონფერენციო სივრცეში „ქვევრის

ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმი“-ს გახსნითი ღონისძიების ორგანიზება.

2) კახეთის რეგიონში (ახმეტის რაიონი, სოფელი ოჟიო) ალავერდის მონასტერში მიმდინარე წლის 7-8 სექტემბერს ძირიტადი ღონისძიების ორგანიზება და სტუმრების გამასპინძლება.

გ) უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მოწვეული სტუმრებისათვის ავიაბილეთების შეძენა გადაადგილება შესაბამისი კომფორტული ტრანსპორტით, მათი სასტუმროში განთავსება და დანართი №1-ით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

დ) უზრუნველყოს ღონისძიების ფოტო და ვიდეო გადაღება და შესაბამისი არქივის შექმნა.

ე) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ვ) ,,შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად მიაწოდოს მას ინფორმაცია მომსახურების განხორციელების შესახებ;

ზ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

თ) შემსყიდველს წარუდგინოს ხარჯთაღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად განიხილოს ,,მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

ბ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება;

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით დროულად მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისგან მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და გამოფენის ფარგლებში დადგენილ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ მომსახურების წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მომსახურების (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) მომსახურების ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან მომსახურება ანაზღაურდება მხოლოდ ხარჯთაღირცხვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა (ბოლო დღე) ემთხვევა არასამუშაო დღეს,

ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღე.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოება, რაც აფერხებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შემაფერხებელი ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ (უმოკლეს) ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების მე–3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტული გასაწევის მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით და დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე შეატყობინოს მეორე მხარეს.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. წინამდებარე მუხლის 13.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების პროცესი იწყება ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ მეორე მხარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 20 აგვისტოდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი აქვთ. ასეთი გარემოება

შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, მეორე – შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო	**ააიპ „ქართული ღვინო“**
თავმჯდომარე	აღმასრულებელი დირექტორი თინათინ კეზელი
გიორგი სამანიშვილი	
ს/კ 204446965 **იურიდ. მის.:** ქ. თბილისი, მ. გელოვანის გამზ. №6. **ფაქტ. მის.:** ქ. თბილისი, მ. გელოვანის გამზ. №6 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი **ბ.კ.** TRESGE22 **ა/ა 200122900** **ტელ.:** 297 41 03	**ს/კ** 400004277 **მის:** ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. №2. **საბანკო რეკვიზიტები**: სს „თი ბი სი ბანკი“ **ბ/კ** TBCBGE22 **ა/ა** GE62TB7055136080100006
გიორგი სამანიშვილი	**თინათინ კეზელი**

დანართი №1
ხარჯთაღრიცხვა

#	კატეგორია	აღწერილობა	ერთ. რაოდ.	დღის რაოდ.	ფასი	სულ
1	**06.09.2015**	**სიმპოზიუმის გახსნა, საქართველოს ეროვნული მუზეუმი (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №3.)**				**2000.00**
2	ტექნიკური აღჭურვილობა	აუდიო სისტემა	1.00	1.00	1000.00	1000.00
3	პერსონალი	თარჯიმანი	1.00	1.00	1000.00	1000.00
4	**07.09.2015**	**ძირითადი ღონისძიება, ალავერდის მონასტერი (ახმეტის რაიონი,სოფელი ოჟიო)**				**10900.00**
5	დარბაზი	საკონფერენციო დარბაზი	**1.00**	**1.00**	**2500.00**	**2500.00**
6	ტექნიკური აღჭურვილობა	აუდიო სისტემა	1.00	1.00	1000.00	1000.00
7	ტექნიკური აღჭურვილობა	სინქრონული თარგმნის აპარატურა	80.00	1.00	30.00	2400.00
8	პერსონალი	თარჯიმანი	2.00	1.00	1250.00	2500.00
9	ღონისძიება	დეგუსტაციისას ნიგოზი, სნექი, ყველი, ჩურჩხელა	1.00	1.00	1000.00	1000.00
10	ღონისძიება	შესვენება ყავაზე	100.00	1.00	15.00	1500.00
11	**08.09.2015**	**ძირითადი ღონისძიება, ალავერდის მონასტერი (ახმეტის რაიონი,სოფელი ოჟიო)**				**11900.00**
12	დარბაზი	საკონფერენციო დარბაზი	1.00	1.00	2500.00	2500.00
13	ტექნიკური აღჭურვილობა	აუდიო სისტემა	1.00	1.00	1000.00	1000.00
14	ტექნიკური აღჭურვილობა	სინქრონული თარგმანის აპარატურა	80.00	1.00	55.00	4400.00
15	პერსონალი	თარჯიმნები	2.00	1.00	1250.00	2500.00
16	ღონისძიება	შესვენება ყავაზე	100.00	1.00	15.00	1500.00
17	**დეტალები**					**59600.00**
18	ლოჯისტიკა	ავია-ბილეთი	10.00	1.00	2200.00	22000.00
19	სასტუმრო	თბილისი 06.09.2015	10.00	1.00	350.00	3500.00
20	სასტუმრო	კახეთი 07.09.2015	30.00	1.00	200.00	6000.00
21	სასტუმრო	თბილისი/კახეთი 08.09.2015	10.00	1.00	300.00	3000.00
22	ლოჯისტიკა	აეროპორტი-თბილისი-აეროპორტი	10.00	1.00	60.00	600.00
23	ლოჯისტიკა	თბილისი-კახეთი-თბილისი (3 მინი-ვენი 15 კაციანი)	3.00	3.00	300.00	2700.00
24	კონფერენციის აქსესუარები	წყალი (ტრანსპორტში + სესიებზე)	1500.00	1.00	1.00	1500.00
25	კონფერენციის აქსესუარები	საკონფერენციო მასალების ფოლდერი, ბლოკნოტი, კალამი, ბუკლეტი, პროგრამა, ბეჯები და ზონრები	100.00	1.00	25.00	2500.00
26	ტექნიკური აღჭურვილობა	ეკრანი და პროექტორი	1.00	2.00	200.00	400.00
27	ტექნიკური აღჭურვილობა	ინტერნეტი(ტელეხიდი)	1.00	1.00	1000.00	1000.00
28	ბეჭდვა და ვიზუალური მასალა	დიზაინერის მომსახურება: ლოგოს დამუშავება, ბანერებისა და სხვა საკონფერენციო აქსესუარები ვიზუალის აწყობა	1.00	1.00	1000.00	1000.00

29	ბეჭდვა და ვიზუალური მასალა	გახსნის და დახურვის მოსაწვევი+კონვერტი	100.00	2.00	5.00	1000.00
30	ბეჭდვა და ვიზუალური მასალა	ბანერი (დიდი)	2.00	1.00	500.00	1000.00
31	ბეჭდვა და ვიზუალური მასალა	ბანერი (პატარა)	3.00	1.00	200.00	600.00
32	მენეჯმენტი	მოსაწვევების დარიგება	100.00	1.00	3.00	300.00
33	პერსონალი	ფოტოგრაფი	1.00	3.00	333.33	1000.00
34	პერსონალი	ვიდეო ოპერატორი	1.00	3.00	500.00	1500.00
35	პერსონალი	დამხმარე პერსონალი	1.00	20.00	250.00	5000.00
36	ღონისძიების დაგეგმვისა და იმპლემენტაციის ფაზები		1.00	1.00	5000.00	5000.00
37	**ჯამი**					**84400.00**
38	დღგ (18%)					15192.00
39	**სულ ჯამი**					**99592.00**

შემსყიდველი
სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

გიორგი სამანიშვილი

მიმწოდებელი
ააიპ „ქართული ღვინო"

თინათინ ვეზელი